საქართველო-ჩინეთს შორის შესაძლო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შედეგები

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #53 / 21.08.2015

ჩინეთი საქართველოს რიგით მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. 2014 წლის მდგომარეობით, ჩინეთთან მთლიანი სავაჭრო ბრუნვა 823.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანი ბრუნვის 7.2%-ია.

სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მიზნით იგეგმება საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ხელშეკრულების გაფორმება.

PMCG-იმ ჩაატარა კვლევა აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების მიზანშეწონილობის შესახებ. კვლევისთვის გამოყენებულია ე.წ. "ნაწილობრივი წონასწორობის" მოდელი, რომელიც აანალიზებს მოკლევადიანი პერიოდის შესაძლო შედეგებს.

კვლევამ აჩვენა, რომ შეთანხმების გაფორმების შემდეგ მოსალოდნელია საქართველოდან ჩინეთში ექსპორტის ზრდა. ასევე, გაიზრდება ჩინური იმპორტი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში.



წყარო: საქსტატი; PMCG-ის კვლევა



წყარო: საქსტატი

საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შემდეგ, მოსალოდნელია, რომ მოკლევადიან პერიოდში (2-3 წელი) საქართველოდან ჩინეთში ექსპორტი გაიზრდება 9.0%-ით (2.1 მლნ. აშშ დოლარით).

2014 წლის მდგომარეობით, საქართველოდან ჩინეთში განხორციელებული ექსპორტის 75%-ს (67.4 მლნ. აშშ დოლარი) სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტი შეადგენს.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება ღვინისა (28.5%) და უალკოჰოლო სასმელების (36.7%) ექსპორტი, ასევე მცირედით გაიზრდება სპილენძისა და ალუმინის ჯართის ექსპორტი (3.3%).

კვლევის მეთოდმა არ გაითვალისწინა შესაძლო ეფექტები იმ პროდუქტებზე, რომელთა ექსპორტი ჩინეთში აქამდე არ განხორციელებულა და რომელთა საექსპორტო პოტენციალზეც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ხელშეკრულების გაფორმებამ.



წყარო: საქსტატი; PMCG-ის კვლევა



წყარო: საქსტატი

საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფომების შემდეგ, მოსალოდნელია, რომ მოკლევადიან პერიოდში (2-3 წელი) ჩინეთიდან საქართველოში იმპორტი გაიზრდება 1.7%-ით (12.4 მლნ. აშშ დოლარით).

ჩინეთიდან გაზრდილი იმპორტის 48% მოდის ე.წ. "ჩანაცვლების ეფექტზე", ხოლო 52% ე.წ. "მოთხოვნის ეფექტზე".

ჩინეთიდან გაიაფებული იმპორტი ძირითადად ჩაანაცვლებს იმპორტს თურქეთიდან. 2014 წლის მდგომარეობით, იმპორტის კუთხით თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია (მთლიანი იმპორტის 20.1%), რიგით მეორე პარტნიორი კი ჩინეთია (მთლიანი იმპორტის 8.6%).

2014 წელს, ჩინეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: გამომთველელი მანქანები (6%), მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონისაგან (4%), სატელეფონო აპარატები (3%), ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან (3%) და მაცივრები, საყინულეები (3%).



წყარო: PMCG-ის კვლევა



წყარო: PMCG-ის კვლევა

საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შემდეგ, მოსალოდნელია, რომ ყველაზე მეტად გაიზრდება შემდეგი პროდუქტების იმპორტი: კარები და მათი ჩარჩოები (1.4 მლნ. აშშ დოლარით), გაყინული ქათმის ნაწილები (1.1 მლნ. აშშ დოლარით), ტევადობები აირებისათვის, შავი ლითონისაგან (0.7 მლნ. აშშ დოლარით), გაპრიალებული გრანიტი (0.5 მლნ. აშშ დოლარით) და პლასტმასის სამშენებლო დეტალები (0.4 მლნ. აშშ დოლარით).

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ჩინეთიდან საქართველოში იმპორტი გაიზრდება (1.7%), თუმცა ნულოვანი იმპორტის გადასახადის გამო იმპორტის გადასახადიდან შემოსავალი შემცირდება 11.7%-ით (-8.2 მლნ. ლარით), რაც მთლიან საგადასახადო შემოსავლებს იმპორტიდან (დღგ, აქციზი, საიმპორტო ტარიფი) შეამცირებს 0.5%-ით.



წყარო: საქსტატი



წყარო: ჩინეთის სტატისტიკის ეროვნული ბიურო

საქართველო-ჩინეთს შორის საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხითაც მნიშვნელოვანია.

2014 წლის მდგომარეობით, ჩინეთი რიგით მესამე უმსხვილესი ინვესტორია საქართველოში (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 12.4%) და ინვესტიციების მოცულობა 217.9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს ჩინეთმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმა ახალ ზელანდიასთან, რასაც ჩინეთიდან ახალ ზელანდიაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა მოჰყვა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაზრდის საქართველოს საინვესტიციო პოტენციალსაც.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	I 2014*	II 2014*	III 2014*	IV 2014*	2014*	I 2015*
ნომინალური მშპ (მლნ. დოლარი)	15846.8	16139.9	3605.3	4064.1	4320.4	4527.8	16528.5	3298.9
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)	3523.4	3599.6	802.9	905.0	962.1	1 008,3	3680.8	884.5
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	7.2%	5.2%	5.6%	1.8%	4.8%	3.2%
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	99.1	99.5					103.1	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)	911.6	941.9	265.3*	150.5*	507.5*	349.2*	1 272.5*	175.3
უმუშევრობის დონე	15%	14.6%					12.4%	
საგარეო ვალი (მლნ.დოლარი)	4739	4202		4082				
სიღარიბის დონე (რეგისტრირებული)	9.7%	9.7%					11.6%	

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საპროგნოზო*